პოლიტიკის სარეკომენდაციო დოკუმენტი - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესება

2019 წ.

შეჯამება

პოლიტიკის აღნიშული დოკუმენტი ეყრდნობა საქართველოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევას, რომელიც, „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა 2018-2019 წლებში განახორციელა. მისი მიზანი იყო ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის კუთხით არსებული ვითარების შეფასება. მსგავსი ფოკუსით კვლევა საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ის უმეტესწილად აქცენტს სვამს ეთნიკური უმცირესობების იმ წარმომადგენლების პოზიციაზე, რომლებიც კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ცხოვრობენ[1]. შესაბამისად, აღნიშნული კვლევა წარმოადგენს მტკიცებულებათა მნიშვნელოვან წყაროს სახელმწიფო დონეზე ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის შესაძლებლობების კიდევ უფრო მეტად გაძლიერებისა და გაუმჯობესების მიმართულებით.

შესავალი

ამ დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციების წყარო, ერთი მხრივ, კვლევის პროცესში თავად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ შეთავაზებული წინადადებები, მეორე მხრივ კი, ანალოგიური პოლიტიკის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებია. რეკომენდაციათა კიდევ ერთი წყაროა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ კვლევის შედეგების გაცნობის მიზნით 2019 წლის მარტში ჩატარებული სამუშაო შეხვედრის დროს გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც დისკუსიაში მონაწილე ექსპერტებს, პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ეკუთვნით.

პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილი წინადადებები კონკრეტული პოლიტიკური ინიციატივებისა და სამთავრობო პროგრამების/პროექტების სახით ასახვის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციების ნაწილის ადრესატი არასამთავრობო სექტორი, დონორი ორგანიზაციები და ბიზნეს-სექტორია. საერთო ჯამში, აქ წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს მრავალეთნიკურ საზოგადოებაში ინტეგრაციის მაჩვენებლების კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას.

[1] კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემები ეყრდნობა მასობრივ გამოკითხვას ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ, რომელიც ჩატარდა სამცხე ჯავახეთში, ქვემო ქართლში, კახეთში, თბილისსა და ბათუმში. გასათვალისწინებელია, რომ ქალაქის ტიპის დასახლებებში მცირე ეთნოსების წარმომადგენლები (კვლევაში მონაწილე რესპონდენტების 20.7%) გამოიკითხნენ, რომელიც რუსულენოვან, ქურთ/იეზიდ ან ბოშების თემს აკუთვნებს საკუთარ თავს. გამოკითხულთა 20.5% სომხურ, 20.2% აზერბაიჯანულ, 20.1% ქისტ, 18.6% ოს თემს ეკუთვნის, რომელიც კომპაქტურად განსახლებულნი არიან ქვეყნის სამხრეთით – სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, აღმოსავლეთით – კახეთის რეგიონში.

კვლევის მონაცემები რამდენიმე მიმართულებით არის გამოყენებული: ერთი მხრივ, ის გვაძლევს საშუალებას, გამოვლინდეს ის კონკრეტული პრობლემები, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების აზრით, საჯარო სექტორის მხრიდან განხორციელებული მცდელობების მიუხედავად, ჯერ კიდევ მოუგვარებელია და სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების სამიზნე ჯგუფის პოზიციების მაქსიმალური გათვალისწინების საფუძველზე განხორციელების შესაძლებლობას შეიცავს; მეორე მხრივ კი, ეს მონაცემები გვაძლევს საშუალებას პოლიტიკის მომავალი ქმედებები კონკრეტულ მტკიცებულებათა საფუძველზე იქნეს განსაზღვრული.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის პრობლემები

იმ პრობლემების ჩამონათვალი, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოზიციით, მოითხოვს რეაგირებას, შესაძლებელია 4 ტიპად დაიყოს: სტრატეგიული, ინსტიტუციური, პროგრამულ-პროექტული და ოპერაციული. პრობლემებზე მსჯელობა და მათ გადასაწყვეტად კონკრეტულ რეკომენდაციათა ჩამონათვალიც პოლიტიკის დოკუმენტში სწორედ ამ სტრუქტურითაა წარმოდგენილი.

1. **სტრატეგიულ დონეზე რეაგირება საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგში ეთნიკური უმცირესობების საკითხების მეტად წარმოდგენასა და მეტი ინტენსივობით მსჯელობას ითვალისწინებს.** აღნიშნული აქტიურად იქნა ხაზგასმული კვლევის შედეგების პრეზენტაციის დროს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მხრიდან და აქტიურად იკვეთება რეპონდენტთა პოზიციებშიც. ასეთი მოთხოვნა იკვეთება როგორც ნაციონალურ, ისე რეგონულ და ადგილობრივ დონეებზე. იმ რეკომენდაციათა შორის, რომლებიც, თავად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების აზრით, ხელს შეუწყობს პოლიტიკურ პროცესებში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის გაზრდას, გასათვალისწინებელია ეთნიკური უმცირესობებისთვის კვლევის პროცესში შეთავაზებული დებულებების მხარდაჭერის ხარისხი. სომხურ და აზერბაიჯანულ თემებში ძირითადად შემდეგი ორი ფაქტორი იქნა მხარდაჭერილი: 1. საქართველოს მთავრობამ/ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უფრო მეტად უნდა შეუწყონ ხელი ეთნიკური უმცირესობების ჩართვას პოლიტიკურ საქმიანობაში (43.6% და 47%) და 2. პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ თავიანთ საქმიანობებში უფრო მეტად ჩართონ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (45% და 44.5%). ქისტი რესპონდენტები უფრო მეტად იზიარებენ მოსაზრებას, რომ პოლიტიკური ჩართულობის გასაზრდელად საჭიროა საქართველოს პარლამენტმა საქართველოს საარჩევნო კოდექსში გააჩინოს ვალდებულება, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთ აქტივობებში ჩართონ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (59.9%). ოსურ თემში (40.8%) აქტუალურია მოსაზრება, რომ ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ მონაწილეობას გაზრდის ის, თუ მედიასაშუალებები უფრო აქტიურად

ისაუბრებენ/დაწერენ იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების ჩართვა პოლიტიკურ პროცესებში (ISSA, 2019, დიაგრამა # 43.).



აქვე, ცხადად უნდა იქნეს გაცნობიერებული ის კონკრეტული გზები, რომელთა საფუძველზეც მიიღწევა თითოეული მათგანი, რათა არ დარჩეს მხოლოდ განაცხადის დონეზე და პრაქტიკული რეალიზაციის მეტი შესაძლებლობა მიეცეს. იმ პირობებში, როცა საქართველოს კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კრძალავს პარტიის შექმნას რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, მთელი აქცენტი უნდა გაკეთდეს არსებულ პირობებში მოქმედი პარტიების მიერ საკუთარ დღის წესრიგში ეთნიკური უმცირესობების თემატიკით მეტად დაინტერესებასა და მათი წარმომადგენლების საკუთარ პარტიულ სიებში მეტად წარმოდგენაზე (ანალოგიური რეკომენდაცია ვრცელდება მაჟორიტარული სიით კანდიდატების დასახელებაზეც). ამ მხრივ, შესაძლებელია ეფექტურად იქნეს გამოყენებული გენდერული ნიშნით წარმომადგენლობის წახალისების სახით გამოყენებული ისეთი მექანიზმი, როგორიცაა სახელმწიფო დაფინანსების გაორმაგება იმ პოლიტიკური სუბიექტებისთვის, რომელიც საკუთარ რიგებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ჩართავს. ჩართვის მექანიზმად სიის ყოველ ათეულში ეთნიკური

უმცირესობების წარმომადგენლების მითითება იქნება საუკეთესო მექანიზმი, რათა თავიდან ავიცილოთ ვალდებულების ფორმალური შესრულება და სიის ბოლოში მითითების ის პრაქტიკა, რომელიც ვალდებულების დაკონკრეტების გარეშე ფიქსრიდება ჩვენში არაერთ შემთხვევაში.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ კვლევის შედეგების გაცნობის მიზნით 2019 წლის მარტში ჩატარებული სამუშაო შეხვედრის დროს გამოთქმულ რეკომენდაციათა შორის სახელდება ეთნიკური უმცირესობების ეთნიკური და რელიგიური დღესასწაულების სათანადო პატივისცემა და აღნიშვნის აუცილებლობა არა მხოლოდ პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა თუ საჯარო სექტორის ოფიციალური პირების მილოცვებით, არამედ მათი ოფიციალურ დასვენების დღეებად გამოცხადება.

2. **ინსტიტუციურ დონეზე დასმულ პრობლემათა შორის აქტუალურია ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის ინსტიტუციური ჩარჩოების გაფართოება.** ეთნიკური უმცირესობების ინტერესის დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ისეთი ინსტიტუციური მექანიზმები, როგორებიცაა სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭო ან ცესკოში არსებული ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელშიც საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად, ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები წევრიანდებიან, რაოდენობრივ და ფუნქციურ გაფართოებას საჭიროებს. ასე მაგალითად, საჭიროა საოლქო საარჩევნო კომისიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები იყვნენ გაცილებით მეტი რაოდენობით წარმოდგენილები ქვეყნის იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მათი რაოდენობა ყველაზე მეტია. მიუხედავად რიგი მცდელობებისა, რაც რეგიონებში ცესკო-ს მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში აზერბაიჯანელების, სომხების, ოსების და რუსი ეთნიკური წარმომავლობის წარმომადგენელთა ჩართვას გულისხმობს, ამ მხრივ მუშაობა კვლავ გასააქტიურებელია. ანალოგიურად, დღის წესრიგში ხვდება საჯარო სექტორის ადმინისტრირების სფეროში (როგორც ნაციონალურ, ისე, განსაკუთრებით რეგიონულ და ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე) ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის რაოდენობის ზრდაც. ინსტიტუციურ დონეზე მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს თავად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ აქტივისტთა და გაერთიანებათა ადვოკატირების პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს არაერთი ინიციატივა, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების ადვოკატირებას გულისხმობს (ასეთად უნდა განვიხილოთ EMC-ის მიერ ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში დაგეგმილი „თანასწორობისა და სოლიდარობის ქსელის“ შექმნა, რომელიც გაერთიანებს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, სახელმწიფო უწყებების, აკადემიისა და აქტივისტური ჯგუფების წარმომადგენლებს და რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების გამოწვევებზე

ახალი პერსპექტივით გააზრების და სოციალური ცვლილებების მხარდაჭერას შეეცდება), ადვოკატირების არსებული პრაქტიკა კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით მხარდაჭერას საჭიროებს.

3. **პროგრამულ და პროექტულ დონეზე** რეაგირება უკავშირდება ეთნიკური ჯგუფებისთვის მნიშვნელოვან ისეთ პრობლემებს, რომლებიც კვლევის პროცესში დასახელდა როგორც ყველაზე აქტუალური. ეთნიკური უმცირესობების მიერ უმუშევრობა და სიღარიბე, როგორც 2 ყველაზე მწვავე პრობლემა, თანხვედრაშია საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოკვეთილ ძირითად პრობლემათა ჩამონათვალთან. კავკასიის ბარომეტრის 2017 წლის გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობისთვის ქვეყანაში არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა უმუშევრობაა (76.6%), შემდეგ სიღარიბე (43.3%) (კავკასიის ბარომეტრი, 2017). თუმცა, როგორც კვლევამ დაადასტურა, ორივე პრობლემა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებშიც აქტუალურია, თუმცა უფრო მწვავედ აღიქმება სიღარიბე 52.5 პროცენტით, ვიდრე უმუშევრობა, რომელიც საერთო ნაცინალურ მონაცემებთან შედარებით ნაკლებად მწვავედ (67.4%) გამოიყურება. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ უმუშევრობის პრობლემა უფრო მწვავედაა დასმული კაცების (73.9%), ვიდრე ქალების (61.4%) მიერ. ეთნიკური ჯგუფების შიგნით დასაქმების საკითხი აქტუალურ პრობლემად გამოიკვეთა ქისტების (85.9%), სომხურენოვან (84.7%) და აზერბაიჯანულენოვან (80%) თემებში. ხოლო, სიღარიბის პრობლემა, თითქმის თანაბრადაა გამოკვეთილი ყველა ეთნიკურ ჯგუფში, განსაკუთრებული სიმწვავით აზერბაიჯანელებისა (65.3%) და ოსების ჯგუფებში (61.2%). კვლევა აჩვენებს სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემის აქტუალურობასაც, განსაკუთრებით, აზერბაიჯანულ თემში. ამ პრობლემაზე განსაკუთრებით მიუთითებენ ეთნიკურად აზერბაიჯანელი (43.5%) და სომეხი (20.2%) რესპონდენტები. ეთნიკური ჯგუფების შიგნით აღსანიშნავია სხვა მწვავე პრობლემები: აზერბაიჯანული თემისთვის, დასახელებულთა გარდა, ასევე პრობლემურია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა (18.8%) და მიწების დაკანონების საკითხი (16.7%); ქისტების თემში აქტუალურია ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის დაბალი ხარისხი (19.4%), მათი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების უფლებების დარღვევები (18.5%) და მიწების დაკანონების პრობლემები (18.3%); ოსურ თემში გამოვლინდა შემდეგი პრობლემები: მიწების დაკანონების საკითხი (22.1%) და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა (19.5%). ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრები მცირე ეთნოსების წარმომადგენლების შემთხვევაში გამოკვეთილი ძირითადად უმუშევრობისა (42.5%) და სიღარიბის (42.1%) პრობლემებია. აღნიშნული ჩამონათვალი საშუალებას გვაძლევს გაცილებით მიზანმიმართულად დაიგეგმოს სახელმწიფო მხრიდან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიზე არსებული პრობლემების მართვა. აქვე, ზოგადად, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ დაბალი ნდობის საერთონაციონალური მონაცემების პარალელურად, გასათვალისწინებელი ხდება

შემდეგი ფაქტორი - დებულებას იმის შესახებ, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას აინტერესებს ამა თუ იმ ეთნიკური უმცირესობის საჭიროებები და პრობლემები, ეთანხმება („სრულიად ეთანხმება“ ან „ძირითადად ეთანხმება“) ჯამში რესპონდენტთა 43.1%. ხოლო ეთნიკური ჯგუფების შიგნით: ოსი რესპონდენტების 63.2%, სომხების და ქისტების 44.4%, ურბანული მცირე ეთნოსების წარმომადგენლების 38.8% და აზერბაიჯანელების 30.9% (ISSA, 2019, დიაგრამა # 27). შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებზე რეაგირება საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტებში ცვლილებას მოითხოვს.

4. **ოპერაციულ დონეზე რეაგირება** უმეტესწილად უკავშირდება მოქმედ პროგრამებსა და პროექტების განხორციელებაში ფიქსირებული ხარვეზების გაუმჯობესების აუცილებლობას. ასე მაგალითად, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული აბიტურიენტების ჩარიცხვა სახელმწიფო ენის ერთწლიანი მომზადების კურსზე, შემდეგი 4 წლიანი სწავლების გაგრძელების მიზნით, მოითხოვს მეტად ინტეგრირებულ და არა იზოლირებულ გარემოში განხორციელებას. როგორც სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ 2019 წლის მარტის დისკუსიაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარომადგენლები აღნიშნავენ, ეს პროგრამები, უმრავლეს შემთხვევაში, რიგი გამონაკლისების გარდა, როგორიცაა მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისეთ სივრცეში (ცალკე კორპუსები, რომელიც საუნივერსიტეტო ძირითად სივრცეს მოწყვეტილია) ხორციელდება, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სომეხ და აზერბაიჯანელ აბიტურიენტებს სხვა სტუდენტებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა არ აქვთ. ამავე შეხვედრაზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ამავდროულად, ასეთ გარემოში მომზადების დროს, მათ შორის კონფლიქტებიც ხდება, რაც დანარჩენ სტუდენტებთან ინტეგრირების შემთხვევაში გაცილებით მეტად მართვადი გახდებოდა. აქვე, აქტიურად განიხილება 1+4 პროგრამის სამიზნე ჯგუფების შემადგენლობის გაზრდა, რაც საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის მსგავსი წამახალისებელი შესაძლებლობის შეთავაზებას გულისხმობს. ოპერაციულ დონეზე ცვლილებების საჭიროებაზე დაისვა აქცენტი სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ 2019 წლის მარტის დისკუსიაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მხრიდანაც სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის შემთხვევაში, როცა საუბარი იყო სტაჟირებაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების იმედგაცრუებაზე და სტაჟირების საფუძველზე საჯარო სამსახურებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმების დაბალ შესაძლებლობებზე. მიწების დაკანონების საკითხის მიმართ კვლევაში ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ყურადღების გამახვილების პირობებში, ამავე ჩამონათვალში უნდა განვიხილოთ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე

საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობის ეფექტურობის დახვეწაც, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

საერთო ჯამში, *ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ეთნიკურ უმცირესობებში მაღალია საქართველოს და ქართული საზოგადოების მიმართ კულტურულ-პოლიტიკური იდენტობის განცდა*[2]*. თუმცა, ეს განცდა რამდენადმე კლებულობს ახალგაზრდა თაობაში, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ცოდნა ყველაზე მაღალი სწორედ 18-24 წლის რესპონდენტებშია (ინდექსის საშუალო 25 ქულიდან - 20.19). საქართველოს და ქართული საზოგადოების მიმართ კულტურულ-პოლიტიკური იდენტობის განცდა ყველაზე დაბალია აზერბაიჯანულ თემში* (საშუალო - 3.49, მაშინ როცა დებულების „მაქვს განცდა, რომ ქართული საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ვარ“ - შეფასების საშუალო ქულაა - 4.01), *რომელიც ქართული ენის არცოდნას, როგორც მის წინაშე მდგარ პრობლემას, სხვა ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენლებთან შედარებით, ყველაზე აქტიურად ასახელებს. ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები იზიარებენ საქართველოს, როგორც ჰიბრიდული დემოკრატიის მქონე სახელმწიფოს იმიჯს. პოლიტიკურ ჩართულობას რაც შეეხება, დეკლარირებულად, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების უმრავლესობა პოლიტიკური ინკლუზიის მომხრეა. თუმცა, დაახლოებით მათი მესამედი ეთანხმება იმას, რომ პოლიტიკა ელიტების (და არა „ჩვეულებრივი“ მოქალაქეების) საქმეა. დეკლარირებულობის მიღმა, გამოკითხულთა მხოლოდ დაახლოებით მეოთხედი მიიჩნევს თავს პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქედ. დაბალი აქტივიზმის მიზეზებად სახელდება: პოლიტიკის მიმართ ინტერესის არქონა, ოჯახური დატვირთვა და ქართული ენის არასრულყოფილი ცოდნა.*

შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით, ცხადი ხდება, რომელ სამიზნე ჯგუფს უნდა მიანიჭოს სახელმწიფომ პრიორიტეტი, განსაკუთრებით, პრობლემების მართვის პირველ ეტაპზე.

რეკომენდაციები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად

მნიშვნელოვანია, წარმოდგენილ იქნეს ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის შესაძლებლობების ზრდას და, ამგვარად, დადებითად იმოქმედებს გადაწყვეტილების მიღების

[2] ISSA-სკვლევაში წარმოდგენილი დებულებები შეფასდა 5 ქულიან სკალაზე, სადაც ქულა 1 ნიშნავდა: „სრულიად არ ვეთანხმები“, ქულა 3 - „იმდენადვე ვეთანხმები, რამდენადაც არ ვეთანხმები“, ხოლო ქულა 5 „სავსებით ვეთანხმები“. დებულებების შეფასებისას ქულა 3-ზე მეტი საშუალო მაჩვენებელი პოზიტიური შეფასების ველში თავსდება, მასზე ნაკლები კი – უარყოფით ველში.

პროცესში მეტად ჩართულობითი მოდელის დამკვიდრებაზე. ამ მიზნით, განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილია სარეკომენდაციო პაკეტების მიხედვით.

რეკომენდაციათა პაკეტი 1: *ამ პაკეტის მიზანია, ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო მონაწილეობის წახალისების მიზნით, დონორი ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ანალიტიკური ცენტრის, მათ შორის აკადემიური წრეების წარმომადგენლების, გააქტიურება. აუცილებელია, ყველა დაინტერესებულმა აქტორმა საკუთარი ძალისხმევის კოორდინირება მოახდინოს, რათა ეთნიკურ უმცირესობებში დაიძლიოს სამოქალაქო მონაწილეობის კულტურული გამოწვევები და სამოქალაქო ჩართულობის მიმართ საზოგადოებაში არსებული ნიჰილისტური დამოკიდებულება.*

სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობა: საქართველოში ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის ხელშემწყობ მექანიზმად უნდა განვიხილოთ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის, აქტივისტებისა და რიგითი მოქალაქეებისთვის საგრანტო დაფინანსების, კონსულტაციებისა და ტრენინგების სისტემების შეთავაზება. ვფიქრობთ, რომ მსგავსი სისტემის დანერგვა საზოგადოებაში სამოქალაქო მონაწილეობის მიმართ არსებული ნიჰილისტური დამოკიდებულების დაძლევას შეუწყობს ხელს. რეკომენდაციათა აღნიშნული ნაწილი ყურადღებას ამახვილებს პრინციპზე, რომლის მიხედვითაც, ადამიანები მონაწილეობას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე სწავლობენ, რაც, საბოლოოდ, მათ სამოქალაქო კულტურას აძლიერებს.

- **გრანტების შეთავაზება** - დონორმა ორგანიზაციებმა მხარი უნდა დაუჭირონ ისეთი საგრანტო პროექტების დაფინანსებას, რომლებიც, სამოქალაქო ჩართულობის გზით, საზოგადოებრივ პროცესებში ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით, დონორი ორგანიზაციების ინტერესის სფეროში უნდა აღმოჩნდეს ისეთი აქტივობების მხარდაჭერა, რომელიც საგანმანათლებლო კამპანიასა და საჭირო საკონსულტაციო ხარჯების გაღებაზე იქნება ორიენტირებული. ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობისათვის საჭირო აქტივობების წახალისების მიზნით, ასევე, აუცილებელია შესაბამისი საგრანტო განაცხადების შემუშავება და საკონკურსო წესით დაფინანსება. საგრანტო დაფინანსება ორიენტირებული უნდა იყოს ისეთი პროექტებისა და აქტივობების მხარდაჭერაზე, რომლებიც ქალაქის მუნიციპალიტეტისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინტერაქციასა და თანამშრომლობას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში არსებობს რამდენიმე ინსტიტუციური მექანიზმი, რომელსაც საჯარო სექტორი გვთავაზობს ე.წ. მცირერიცხოვანი და მოწყვლადი

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციისთვის, ეთნიკური უმცირესობებზე მეტი აქციენტირება მიზნობრივი პროგრამული მხარდაჭერის სისტემების შეთავაზებითა და მათი ეფექტურობის შემდგომ ამაღლებაზე ზრუნვით.

- **კონსულტირება** – საჭიროა, ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ და სამოქალაქო მონაწილეობაზე ორიენტირებული აქტივობები მხარდაჭერილ იქნეს სათანადო საკონსულტაციო მომსახურებითაც, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები, ანალიტიკური ცენტრები და საუნივერსიტეტო საზოგადოება უზრუნველყოფს, დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით. საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების დაფარვა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის შესაძლებლობების გაფართოებაში.
- **ტრენინგები** – ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის უნარების ჩამოყალიბებისა და ზრდის თვალსაზრისით, აუცილებელია როგორც ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის და რიგითი მოქალაქეებისთვის ტრენინგებისა და სემინარების შეთავაზება. აღნიშნული, პირველ რიგში, გამიზნულია საჯარო სექტორის ზედა და საშუალო დონის წარმომადგენლებზე, ქალაქის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელებზე, ქალაქის არჩევითი თანამდებობების პირებსა და ეთნიკური უმცირესობების არასამთავრობო სექტორის ლიდერებზე. სამოქალაქო მონაწილეობის თემატიკაზე ტრენინგების შეთავაზება მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიღების ინკლუზიურ მოდელზე შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას. ასეთი ტრენინგების აუცილებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელისუფლებო წრეებისთვის. მსგავსი ტრენინგები მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს სამოქალაქო მონაწილეობის ზრდას საქართველოში. ეთნიკური უმცირესობებს ახალგაზრდებში არსებული კრიტიკული დამოკიდებულებებიდან გამომდინარე, რაც სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ კვლევის შედეგების გაცნობის მიზნით 2019 წლის მარტში ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაზე დაფიქსირდა, მნიშვნელოვანია დღეს ერთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის შეთავაზებული სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის კიდევ უფრო მეტად დახვეწა. ეს სტაჟირების პროგრამის დეტალურ გაწერისა და შინაარსობრივ-მეთოდოლოგიურ დახვეწას გულისხმობს, რომ მიღებული ცოდნა და გამოცდილება პროგრამის დასრულების შემდეგომ პროგრამის მონაწილეს დასაქმების მეტ შესაძლებლობას აძლევდეს. აქვე, განიხილება ეთნიკური უმცირესობების წარმატებულ მონაწილეთა საჯარო სექტორში - მინიმუმ ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში დასაქმების შესაძლებლობების ფორმალიზებაც.
-

რეკომენდაციათა პაკეტი 2

ამ პაკეტის მიზანია, ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო მონაწილეობის რეალური პრაქტიკის არსებულ სამართლებრივ ჩარჩოსთან დაკავშირების მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზება. წარმოდგენილი სარეკომენდაციო პაკეტი ემსახურება სამოქალაქო მონაწილეობის მიმდინარე ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარე აქტორების ჩართულობის ხელშეწყობას. რეკომენდაციების დიდი ნაწილი პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმებს ზევიდან, ხელისუფლების მხრიდან ინსტიტუციური ჩარევის დონეზე, მოიაზრებს.

- **სამთავრობო უწყებებში საზოგადოებრივი ჩართულობის ინსტიტუციური უჯრედის დაარსება და შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტების დამკვიდრება** - სამთავრობო უწყებებმა, როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, საზოგადოებრივი მონაწილეობის ინსტიტუციური მხარდაჭერის მიზნით, გარე აქტორებს საზოგადოებრივ ჩართულობაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბება უნდა შესთავაზონ (ეს შესაძლებელია განხორციელდეს დეპარტამენტის, სამმართველოს ან სამსახურის სახით). „კარგი მმართველობის“ საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უნდა დანერგონ „უკეთესი ქალაქის სამთავრობო ინიციატივები“, რომელიც, საზოგადოებრივი მონაწილეობის პროაქტიული მხარდაჭერის სისტემების დანერგვასთან ერთად, მოიცავს (საზოგადოებრივი ჩართულობის ინდიკატორების საფუძველზე) პერმანენტულ რეჟიმში სამთავრობო უწყებების შეფასებას (Saha, 2009). ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობა ამ შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდება. ამავდროულად, მნიშვნელოვანია შეფასების ადეკვატურ სისტემაზე შეთანხმების მიღწევა, რომელიც, ასევე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თანამონაწილეობის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს და მათ კონკრეტული კრიტერიუმებისა და შეფასების ინდიკატორების შეთავაზების შესაძლებლობა მიეცეთ.
- **სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში თავად უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართვის შესაძლებლობების გაფართოება.** მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ პოლიტიკის დოკუმენტში ყურადღება ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის საკითხზეა აქცენტირებული, აღნიშნული რეკომენდაციის პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს ყველა ტიპის უმცირესობათა პრობლემების გადაწყვეტის მიზნით სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების გაცილებით მეტი ეფექტურობითა და ეფექტიანობით განხორციელებას. გასათვალისწინებელია ისიც,

რომ შესაძლებელია, პირველ ეტაპზე საჭირო გახდეს სამოქმედო გეგმაში ფიქსირებული შედეგების (იგულისხმება როგორც მყისერი, ისე შუალედური და საბოლოო შედეგების) სამიზნე მაჩვენებლების საზომი კონკრეტული ინდიკატორების ერთობლივი გადახედვა და ახალი ინდიკატორების დამატებაც; აგრეთვე, მათი მონიტორინგის მიზნით, ცალკე დამოუკიდებელი, უმცირესობების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ შესრულების ხარისხის კონტროლიც. მსგავსი თანამონაწილეობითი მოდელი სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში დღეს ხორციელდება სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს მეშვეობით და ეს ინსტიტუტი აღჭურვილია მონიტორინგის და შეფასების ფუნქციებით. თუმცა, თავად საბჭოს შემადგენლობის სტატიკურობა და ნაკლებწამომადგენლობითობა, რაც რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეობით ვლინდება, ქმნის რიგ პრობლემებს კრიტიკული ანალიზისა და შეფასებისთვის. შესაბამისად, საბჭოს შემადგენლობაში უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართვის შესაძლებლობების (როგორც რაოდენობრივ, ისე გეოგრაფიულ და გენდერულ ჭრილში) გაფართოება ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სტრატეგიის შესრულების მონიტორინგის განხორციელებისათვის სასარგებლო აღმოჩნდება. აქვე, მნიშვნელოვანია თავად ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციებისათვის ადვოკატირების და მონიტორინგის მიმართულებით შესაბამისი ტრენინგების შეთავაზება, რათა მათ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორიგი და შეფასება თავადვე დამოუკიდებლად მოახდნონ. ეს სამთავრობო დოკუმენტებში ფიქსირებული ინიციატივებისა და შეთავაზებების შესრულების ხარისხის კონტროლის ერთ-ერთ მნიშვნლოვან მექანიზმად იქნებოდა გამოყენებული.

- **„სათემო დაგეგმვის ყოვლისმომცველი სტანდარტების“ დანერგვა** – „სათემო დაგეგმვის ყოვლისმომცველი სტანდარტების“ სისტემა ქალაქდაგეგმარების თანამედროვე უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რომელიც ქმნის გზამკვლევს, საზოგადოებრივი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა, მონაწილეობის პირობებში, ქალაქდაგეგმარების და მდრადი განვითარების პროცესის სამართავად (AADNC, 2004). საზოგადოებრივი დაგეგმვის ამ, შედარებით ინოვაციურ, მიდგომაში განმსაზღვრელი როლი მცირე, დაინტერესებული ჯგუფების ნაცვლად, ფართო საზოგადოებას ენიჭება. „სათემო დაგეგმვის ყოვლისმომცველი სტანდარტები“ ადგილობრივ თემს საკუთარი საზოგადოებრივი სივრცის ხედვის განსაზღვრის საშუალებას აძლევს. მსგავსი მიდგომა, კონკრეტული სამთავრობო პროგრამებისა და პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში მოქალაქეთა თანამონაწილეობის გაზრდით, ამ პროცესს მეტად ინკლუზიურს ხდის. აქტივობები, რომლებიც ამ სტანდარტების გამოყენების პირობებში ხორციელდება, საუკეთესო გარანტიაა, რომ თავად საზოგადოება, ამ შემთხვევაში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები,

გახდნენ საზოგადოებრივი სივრცის შემდგომ განვითარებაზე პასუხისმგებელნი. ფართო გაგებით, საზოგადოების თითოეულ წევრს, მიუხედავად ასაკობრივი, გენდერული, ეთნიკური და სხვა ნიშნით განსხვავებისა, შეუძლია საზოგადოებრივი საჭიროებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა, შეთავაზება და მათ მართვაში მონაწილეობა; რაც მთავარია, განვითარების საკუთარი და უნიკალური პერსპექტივების წარდგენა. გასათვალისწინებელია, რომ ენის ბარიერის გადალახვას ხელი შეიძლება შეუწყოს ამ პროცესის ფოტო მასალით, ელექტრონული თამაშებითა და სხვა ინოვაციური მეთოდებით წარმართვამ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს, ქვემო ქართლსა და კახეთში სახელმწიფო რწმუნებულის ოფისებში ფუნქციონირებს ეთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო საბჭოები, რომელთა მოვალეობაა ადგილობრივ დონეზე ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა, მათი ეფექტურობა სხვადასხვა ექსპერტთა მოსაზრებით (სორდია, გ., სვანიშვილი, ა., ლოსაბერიძე, დ. და სხვები), საკმაოდ დაბალია. სწორედ ამიტომ, სათემო დაგეგმვისა და ადგილობრივი საზოგადოების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინების მიზნით, საჭიროა ამ ინსტიტუციის გაცილებით ეფექტური ამუშავება, რაც საზღვარგარეთის საუკეთესო პრაქტიკების გაცნობაზე, ადგილზე ვიზიტებზე, თავად გუბერნატორის ინსტიტუტის ამ საკითხების მიმართ მგრძნობელობისა და მხარდაჭერის ზრდაზე იქნება ორიენტირებული.

- **„ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ინიციატივის ფარგლებში, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციათა ადგილობრივ დონეზე დანერგვა** - რეკომენდაციათა ჩამონათვალი მოიცავს ელექტრონული პეტიციებისა და საკონსულტაციო პლატფორმების სისტემის დანერგვას უშუალოდ ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე (OGP, 2014). ამ სისტემის მეშვეობით, სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლები თავად ქმნიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული ჯგუფების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა, მონაწილეობის მეტ შესაძლებლობას, აძლევენ რა მათ ინიციატივების წარდგენისა და სამთავრობო დღის წესრიგში ჩასმის გარანტიებს, საჭირო რაოდენობის ელექტრონული ხელმოწერების მოგროვების შემთხვევაში.[3] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ეს ინიციატივა ეროვნული დონის გადაწყვეტილებებზეა ორიენტირებული, მაგრამ საზოგადოებრივი მონაწილეობის შემდგომი მხარდაჭერისთვის, აუცილებელი ხდება ინიციატივის უშუალოდ ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე დანერგვა და მხარდაჭერა. ანალოგიურად, ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე უნდა დაინერგოს საზოგადოებრივი საკონსულტაციო პლატფორმების სისტემაც, რაც

[3] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული 10 ათასიანი მინიმუმი, ამჟამად 5 ათას ელექტრონულ ხელმოწერამდეა შემცირებული).

სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შორის პარტნიორულ რეჟიმში ურთიერთობას უზრუნველყოფს.

- **ინფორმაციის პროაქტიულ რეჟიმში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** – აღნიშნული რეკომენდაცია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) შეთავაზებით, აქტიურად ინერგება ცენტრალური ხელისუფლების დონეზე საქართველოში (OGP, 2014). აუცილებელია, ის განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზეც. ამავე დროს, ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გამოყენებული ხარისხის მართვის სტანდარტები უნდა მოიცავდეს ინფორმაციის პროაქტიულ რეჟიმში გავრცელების შეფასების კონკრეტულ ინდიკატორებს, რაც მათი დაცვის გარანტიებს ქმნის. აღნიშნული რეკომენდაციის განხორციელების შემთხვევაში, მოიხსნებოდა ხელისუფლებასა და გარე აქტორებს შორის დღეს არსებული ინტერაქციის პრობლემები, რაც, ხშირად, სწორედ ინფორმაციის ნაკლებობითაა გამოწვეული. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მზადყოფნის პირობებში, რომ ღია და გამჭვირვალე მთავრობას დაუჭირო მხარი, მსგავსი რეკომენდაციის განხორციელების შესაძლებლობა საკმაოდ რეალისტურად გამოიყურება. აქვე, ხაზგასმას საჭიროებს ეთნიკურ უმცირესობებთან კომუნიკაციის არხების ადეკვატური შერჩევისა და აქტიური გამოყენების საკითხიც. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში მედია საშუალებების მიმართ ნდობა რესპონდენტთა პოზიტიური შეფასების ველში მოხვდა და ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტის ერთ-ერთ მექანიზმად მედიის დღის წესრიგში ეთნიკური უმცირესობების საკითხის მოხვედრა დასახელდა. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ 2019 წლის მარტის დისკუსიაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ისევე როგორც სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წამომადგენლები, აღნიშნავდნენ, რომ მედიის მიმართ ნდობა ადგილზე, კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, განსაკუთრებით მაღალია. ამ რეალობიდან გამომდინარე, ადგილობრივი რეგიონული მედია საშუალებების მხარდაჭერა განისაზღვრა როგორც ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმი ეთნიკურ უმცირესობებში ქართულ საინფორმაციო ველზე ხელმისაწვდომობისა და ეთნიკურ უმცირესობებში ქართული საზოგადოების მიმართ კულტურულ-პოლიტიკური იდენტობის განცდის ზრდის მიმართულებით.
- **საზოგადოებრივი მონაწილეობის მიმართ არსებული ნეგატიური დამოკიდებულებების შეცვლა** – სამოქალაქო მონაწილეობის ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარე აქტორების ჩართულობის მიზნით, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მონაწილეობის მიმართ ეთნიკური უმცირესობებში არსებული ნეგატიური დამოკიდებულებების შეცვლა და სახელისუფლებო წრის წარმომადგენლებისთვის გარეშე „თვალის“ უპირატესობების გაცნობა. კერძოდ, აუცილებელია იმის სათანადო გააზრება, რომ გარე აქტორების წინადადებები, შეიძლება შეიცავდეს მნიშვნელოვან რესურსს არსებული საზოგადოებრივი

პრობლემების გადასაჭრელად; ადგილობრივი თემების წარმომადგენლებს შეიძლება ჰქონდეთ პრობლემური საკითხების ოპტიმალური გადაწყვეტის შესახებ მეტი ინფორმაცია და, შესაბამისად, წინადადებებიც; საზოგადოებრივი ჩართულობა უზრუნველყოფს მიღებულ გადაწყვეტილებებზე ერთობლივ პასუხისმგებლობას და გვარიდებს კონფლიქტურ რეჟიმში საკითხის განხილვას; საზოგადოებრივი ჩართულობა ხელს უწყობს მიღებული გადაწყვეტილებების მეტ ლეგიტიმაციას საზოგადოების თვალში, რაც სამოქალაქო პროტესტის შესაძლებლობას ამცირებს; საზოგადოებრივი მონაწილეობის მეშვეობით, გარე აქტორები, მათ შორის აქტივისტები და რიგითი მოქალაქეები, გრძნობენ, რომ მათი პოზიციები მნიშვნელოვანი და ღირებულია. ამ უპირატესობების გაცნობიერება მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევდა საქართველოში საზოგადოებრივი მონაწილეობის შესაძლებლობის გაძლიერებას. თუმცა, რეკომენდაციის ეფექტური შესრულება, ასევე, დამოკიდებულია დღეს ეთნიკურ უმცირესობებში იმ ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრასა და შესუსტებაზე, რომლებიც, რესპონდენტების აზრით, აბრკოლებს მათ პოლიტიკურ აქტივობებში (როგორებიცაა, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის შეხვედრები, პოლიტიკური პარტიის წევრობა, აქციებში მონაწილეობა, საარჩევნო კამპანიებში მონაწილეობა და სხვა) აქტიურ ჩართვას. პოლიტიკური მონაწილეობის შემაფერხებელ ძირითად ფაქტორებად კვლევაში გამოიკვეთა: პოლიტიკის მიმართ ინტერესის არქონა (42.7%), ოჯახურ საქმეებში აქტიურად ჩართულობა (28.3%), ქართული ენის სრულყოფილად არცოდნა (26.2%). საინტერესოა ამ ხელისშემშლელი გარემოებების განაწილება ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მიხედვით: ფაქტორი – „პოლიტიკის მიმართ ინტერესის არქონა“ – განსაკუთრებით მაღალია ურბანულ მცირე ეთნოსებში (56%); მაშინ როცა, პოლიტიკური მონაწილეობისთვის ქართული ენის არცოდნის ბარიერი აზერბაიჯანული თემის რესპონდენტების გამოკვეთილ უმრავლესობაში (66.9%) სახელდება. გარდა ამისა, დაგეგმილი მოვლენების შესახებ ინფორმაციის არქონა ხელისშემშლელი ფაქტორია აზერბაიჯანული თემის რესპონდენტების 42.3%-თვის. რაც შეეხება ტრადიციებსა და რელიგიურ მრწამსს, როგორც პოლიტიკური მონაწილეობის ბარიერებს, ეს ფაქტორები თითქმის ყველა ეთნიკურ ჯგუფში ნაკლებად მნიშვნელოვანია, ქისტი თემის გარდა, სადაც რელიგიური მრწამსი 16.9%-მა და ტრადიციები – 13%-მა დაასახელა ბარიერებად. გენდერულ ჭრილში საინტერესოა, რომ ორივე ჯგუფში თითქმის იდენტური ტენდენციები იკვეთება პოლიტიკური მონაწილეობის დამაბრკოლებელ გარემოებებთან მიმართებით (ISSA, 2019, დიაგრამა # 42). შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური აქტიურობის ამ შემაფერხებელი ფაქტორების გათვალისწინება და რეაგირება უნდა გახდეს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების სამიზნე.

- **ფოკუსირება საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის მექანიზმებზე და არა საკითხის პოლიტიზებაზე** – სამოქალაქო მონაწილეობის ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარე აქტორების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია, თავად ხელისუფლებამ (როგორც ცენტრალურმა, ისე ადგილობრივმა) აიცილოს საკითხის პოლიტიკური ოპონირების ჭრილში განხილვა, რაც, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან მიმართებაში, უმრავლეს შემთხვევაში, სეპარატიზმის საფრთხესთან ასოცირდება. მსგავსი ხედვა დაინტერესებული გარე აქტორების პოზიციების გაცნობისა და გაზიარების მეტ პერსპექტივას შექმნიდა. ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი უნდა გახდეს არა იმაზე მსჯელობა, თუ რომელ პოლიტიკურ დაჯგუფებასთან ასოცირდება ესა თუ ის გარე აქტორი, არამედ ის, თუ საზოგადოებრივი პრობლემის გადაწყვეტის რა ალტერნატიული წინადადებებია შეთავაზებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მხრიდან. პრობლემებზე მსჯელობის პოლიტიკის ცვლილებაზე ორიენტირებულ (policy oriented change) აპოლიტიკურ რეჟიმში გადაყვანაზე პასუხისმგებლობა, დასავლური გამოცდილებით, სწორედ ხელისუფლებას ეკისრება. ამავე დროს, საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაზე ყურადღების გადატანა ხელს შეუწყობდა და მნიშვნელოვნად წაახალისებდა გარე აქტორებს, ხელისუფლებასთან მეტი თანამშრომლობა ჰქონოდათ, რაც თავად პროცესს მეტ კონსტრუქციულობას შესძენდა. საბოლოო ჯამში, ეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ და სამოქალაქო მონაწილეობის შესაძლებლობებს გაზრდიდა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს მეტად ინკლუზიურს გახდიდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს არა მხოლოდ გარე აქტორებს წახალისებს, არამედ გაზრდის უმცირესობათა ნდობას ხელისუფლების მიმართ, იმ თვალსაზრისით, რომ ხელისუფლება უკვე ორიენტირებულია პრობლემის მოგვარებაზე, პირის/გარე აქტორის ან ოპონენტის პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად.
- **ელექტრონული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება ელექტრონული მონაწილეობისთვის ორენოვანი მომსახურების რეჟიმში** – აღნიშნული რეკომენდაცია გულისხმობს ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორებიცაა, გეოინფორმაციული და კომპიუტერული მედიაციის სისტემები, ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით. რიგით მოქალაქეებს, ისევე როგორც ნებისმიერ დაინტერესებულ აქტორს, ელექტრონულ სივრცეში ორმხრივი კომუნიკაციის მეტი შესაძლებლობა უნდა მიეცეს და ეს ხელისუფლებისთვის მუშაობის სტანდარტად უნდა იქცეს, განსაკუთრებით – ადგილობრივ დონეზე. ელექტრონული ჩართულობის სისტემაზე გადასვლა მნიშვნელოვნად გაამარტივებდა საზოგადოებრივი ჩართულობის პროცესის წარმოებას და, ამავე დროს, გაცილებით გააიაფებდა პირდაპირ რეჟიმში თანამონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ხელისუფლების მხრიდან მსგავსი სისტემების შეთავაზება მნიშვნელოვნად წაახალისებდა გარე აქტორების, მათ შორის აქტივისტებისა და

რიგითი მოქალაქეების საზოგადოებრივ ჩართულობას. ელექტრონული კომუნიკაციების სამოქალაქო მონაწილეობისთვის გამოყენება მოქალაქეებს საკუთარი პოზიციების მეტად გამოხატვის შესაძლებლობას მისცემდა. მოქალაქეზე ორიენტირებული ელექტრონული მონაწილეობის, ელექტრონული სერვისების მიწოდებისა და ელექტრონული ადმინისტრაციის მექანიზმების დანერგვასთან დაკავშირებული ფინანსების მოძიების კუთხით, აუცილებელია, ხელისუფლებამ აქტიურად გამოიყენოს „კარგი მმართველობის" ისეთი მხარდამჭერი მექანიზმები, როგორსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი სთავაზობს დაინტერესებულ სახელმწიფოებს.[4] თუმცა, ამ მხრივ, უპირველესი მოთხოვნა, რომელსაც არაერთი საერთშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია (მაგალითად, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)) სთავაზობს ხელისუფლებას, ეს „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ევროპული ჩარჩო კონვენციით საქართველოს მიერ 2006 წლიდან ნაკისრი პოზიტიური ვალდებულების შესრულებაა; ამ ვალდებულების თანახმად, იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ცხოვრობენ ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით, სახელმწიფო ორგანოებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ უმცირესობის ენის გამოყენება ადმინისტრაციულ ორგანოსა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ პირს შორის, მათ შორის, ელექტრონულ სისტემებში ურთიერთობებისას. ამ მხრივ, საერთო სასამართლოების სისტემაში თარჯიმნით უზრუნველყოფის კარგი გამოცდილების გაზიარება კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

რეკომენდაციათა პაკეტი 3

აღნიშნული პაკეტის მიზანია რეკომენდაციების შეთავაზება საჯარო პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სამოქალაქო აქტივისტების ზეგავლენის გაზრდის მიზნით. რეკომენდაციათა დიდი ნაწილი სამოქალაქო მონაწილეობის წინაშე არსებული პრობლემების დაძლევის მექანიზმებს ქვევიდან, თავად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიტიკის ადვოკატირების შესაძლებლობებიდან, უყურებს.

- **მეტი მტკიცებულებების გამოყენება პოლიტიკის ადვოკატირების კამპანიის წარმართვის პროცესში** – პრევენციული მექანიზმების სახით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოშიც დაინეროს OSCE/ODIHR-ის აპრობირებული პრაქტიკა ონლაინ

[4] Broad, R.. (2007). 'Knowledge Management': A Case Study of the World Bank's Research Department. *Development in Practice*, *17*(4/5), 700–708. Retrieved from http://www.jstor.org/stable/25548272

პლატფორმების სახით, სადაც მოხდებოდა დისკრიმინაციის, უფლებების დარღვევების ან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების დოკუმენტირება. აღნიშნული რეკომენდაცია ასევე ხაზს უსვამს ადვოკატირების კამპანიაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული წინადადებების მნიშვნელობას. ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობისა და ჩართულობის შესაძლებლობათა გაძლიერების კუთხით, არგუმენტირებულ და საექსპერტო ცოდნაზე დაფუძნებულ მსჯელობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ხელისუფლებას ხელიდან გამოაცლიდა შესაძლებლობას, საჯარო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში ეთნიკური უმცირესობები გამოერიცხა და საჯარო დისკუსიას გაცილებით საქმიან, აპოლიტიკურ ხასიათს მისცემდა. პოლიტიკის დისკურსი კონკრეტული საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაზე მსჯელობის კუთხით წარიმართებოდა და პროცესის პოლიტიზება ნაკლებად მოხდებოდა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მტკიცებულებებისათვის საჭირო ყველა შიდა და გარე რესურსის აქტიური გამოყენება. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა, დასაბუთებული მტკიცებულებების წარმოდგენის მიზნით, ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევების შედეგები უნდა გამოიყენონ და პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო პრაქტიკები გაითვალისწინონ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მათ მიერ წარმოებული ადვოკატირების კამპანია დაეფუძნოს კონკრეტულ პოლიტიკის დოკუმენტებს, სადაც მათი პოზიციების მხარდამჭერი არგუმენტები მეტი სიზუსტით იქნება გაწერილი. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ხაზგასმა უნდა კეთდებოდეს პოლიტიკის დოკუმენტში დანართის სახით წარმოდგენილ საუკეთესო პრაქტიკებზე.

- **პოლიტიკის ადვოკატირების პროცესში ჩართულ აქტორთა სტრუქტურის, სტრატეგიისა და არგუმენტაციის გამრავალფეროვნება** – ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, რაც უფრო მრავალფეროვანია პოლიტიკის ადვოკატირების ჯგუფის შემადგენლობა და რაც უფრო მრავალმხრივია მისი ადვოკატირების სტრატეგია, მით მეტია შესაძლებლობა, რომ პოლიტიკის ადვოკატირების პროცესი წარმატებით დასრულდეს (Sabatier, Jenkins-Smith, 1993). სწორედ ამიტომ, პოლიტიკის ადვოკატირების პროცესში ჩართული ჯგუფები აქტიურად უნდა ზრუნავდნენ კამპანიის მონაწილე აქტორების შემადგენლობისა და სტრატეგიის მრავალფეროვნების ზრდაზე, იყენებდნენ ყველა შესაძლო შიდა და გარე საექსპერტო რესურსს საკუთარი არგუმენტებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად. ადვოკატირების კამპანიაში ისეთი სტრატეგიების ურთიერთმონაცვლეობა და პარალელურ რეჟიმი გამოყენება, როგორებიცაა მედია კამპანია, რეკომენდირება, ლობირება და სამოქალაქო აქტივიზმი, დიდ დახმარებას გაუწევდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ადვოკატირების ჯგუფებს სასურველი ცვლილებების მისაღწევად.
- **პოლიტიკის ადვოკატირების პროცესის თანმიმდევრული დაგეგმვა** – კვლევაში მონაწილე რესპონდენტების პასუხები გვარწმუნებს, რომ ისინი საჭიროებენ

პოლიტიკის ადვოკატირების შესაძლებლობების განვითარებას. უფრო მეტიც, ისინი ამ სფეროში ინფორმაციისა და შესაბამისი ცოდნისა და უნარების სერიოზულ დეფიციტს განიცდიან. ასე მაგალითად, კვლევის მონაწილეთა 83.6%-ს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ არცერთ ღონისძიება(ებ)ში არ მიუღია მონაწილეობა. რესპონდენტთა 7.2%-ს არ ახსოვს, ხოლო ძალიან მცირეა მათი რიცხვი, ვისაც ბიუჯეტის დაგეგმვაში (0.7%), მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში (1.3%), ქალაქში/მუნიციპალიტეტში გასამართი სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვაში (2.4%) ან ქალაქის/სოფლის პრიორიტეტების განსაზღვრაში (3.6%) მიუღია მონაწილეობა ((ISSA, 2019, დიაგრამა N60). ამ მიზნით, სასურველია, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა გამოიყენონ ადვოკატირების კამპანიის დეგეგმვის სხვადასხვა გზამკვლევი. ასე მაგალითად, „პოლიტიკის ადვოკატირების გზამკვლევი ტრანსფორმირებად ქვეყნებში“ (2012) გვთავაზობს დეტალურად გაწერილ ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პოლიტიკის ადვოკატირების კამპანია. აქვე გაწერილია ის წინაღობები, რომელთა დაძლევაც ამ პროცესში ადვოკატირების ჯგუფებს უწევთ. მსგავსი გზამკვლევები პოლიტიკის ადვოკატირებით დაკავებულ გარე აქტორებს, რომლებიც ამ ეტაპზე სპონტანური სახით დაგეგმილი კამპანიით გამოირჩევიან, დიდ დახმარებას გაუწევდა ადვოკატირების პროცესის უფრო ეფექტურად მართვაში. კარგად დაგეგმილი და წინასწარ გაწერილი კამპანია, საჯარო პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე სამოქალაქო აქტივისტების ზეგავლენის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გაზრდის.

ქვევით წარმოდგენილია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაციის საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე არსებული საუკეთესო პრაქტიკები, რომელთა აქტიური გამოყენების შემთხვევაში საქართველოს აქვს უნარი გაცილებით ეფექტურად და ეფექტიანად მოახდინოს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მაჩვენებლების გაზრდა. მნიშნელოვანია, რომ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით აქტიურად იყოს მხადაჭერილი ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის რეკომენდაციები და მოხდეს მათი გათვალისწინება საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრისას.

დანართი # 1 - ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიტიკური და სამოქალაქო ინტეგრაციის საერთაშორისო გამოცდილება - საუკეთესო პრაქტიკები

ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობის მექანიზმები	განმარტება
კვოტები საპარლამენტო ორგანოში	კვოტირება აქტიურად გამოიყენება უმცირესობების, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით და განიხილება თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებისა და პოლიტიკური ძალაუფლების ბალანსირების მექანიზმად. კვლევები ცხადყოფს, რომ მეტი რაოდენობით როგორც ნაციონალური, ისე ადგილობრივი დონის საკანონმდებლო ორგანოებში წარმომადგენლობა დადებითად აისახება ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით საბიუჯეტო პრიორიტეტების გადანაწილებაზეც. გამოიყენება ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: ბელგია, რუმინეთი, ხორვატია, სლოვენია. წარსულში კი გამოიყენებოდა პალესტინაში, ზიმბაბვეში და სხვა ქვეყნებში.
ეთნიკური ნიშნით პოლიტიკური პარტიების ფორმირების პრაქტიკა	რიგ ქვეყნებში პოლიტიკური პარტიების ფორმირება ხორციელდება ეთნიკური ნიშნით. მიუხედავად იმისა, რომ თავად ეთნიკური უმცირესობების პრობლემებზე ორიენტაციის მიხედვით ერთმანეთისგან განასხვავებენ არაეთნიკური ნიშნით მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს, ამ შემთხვევაში იგულისხმება უშუალოდ არადომინირებული ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკური პარტიების სახით ფუნქციონირება. გამოიყენება ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: ინდოეთი, ბირმა, პაკისტანი, კენია, ნიგერია, ეთიოპია, ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვენია, ფინეთი, მონტენეგრო, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა და სხვა.
მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა - საკონონმდებლო ორგანოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მოხვედრის მიზნით	ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ისეთ სისტემებთან შედარებით, როგორიცაა ალტერნატიული ხმის მიცემა, ეთნიკური უმცირესობების კვოტირებული ადგილების გამოყოფა და შერეული საარჩევნო სისტემა, აღნიშნული მექანიზმი გაცილებით ეფექტურ მექანიზმად მიიჩნევა და ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური წარმომადგენლობის გააქტიურების მიზნით გამოიყენება. თუმცა, აღიარებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ აქტიურობას როგორც პირობას ამ მექანიზმის გამოსაყენებლად. გამოიყენება ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: ახალი ზელანდია, შეერთებული შტატები, ბელგია, ლიბია, რუსეთი, სლოვენია, ზიმბაბვე და ა.შ.
ალტერნატიული ხმის მიცემის სისტემა	ხმის მიცემის წესი, რომელიც ამომრჩევლის მიერ პრეფერენციების მიხედვით რამდენიმე კანდიდატის დასახელებას ეყრდნობა და მეორე ტურის გარეშე გამოიყენება აბსოლუტური უმრავლესობის მქონე კანდიდატის გამოსავლენად ყველაზე ნაკლებად პრეფერენციული კანდიდატების გამოთიშვის ხარჯზე, ეთნიკურად ბიპოლარულ და კონფლიქტურ საზოგადოებებში ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური წარმომადგენლობის გარანტორად მიიჩნეოდა. თუმცა, არსებულ პრაქტიკაზე დაკვირვებით ნაკლებად განიხილება ეფექტურ მექანიზმად. გამოიყენება ისეთ ქვეყნებში როგორიცაა:ფიჯი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ბოსნია და ჰერცოგოვინა პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში

ეთნიკური უმცირესობების პარტიული რეკრუტირება ეთნიკურად არადომინანტურ პარტიებში	აღნიშნული მექანიზმის განხორციელების არაერთგვაროვანი ფორმები არსებობს და დამოკიდებულია ეთნიკური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებაზე, რაც რეკრუტირების დონეზე შესაძლებელია გულისხმობდეს როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა, ისე მათი პრობლემების საკუთარ დღის წესრიგში აქტიურ რეპრეზენტატულობას.
ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა საჯარო სექტორის ადმინისტრირებაში და საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	როგორც ნაციონალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, საჯარო ადმინისტრირების ეთნიკური ნიშნით წარმომადგენლობა დაკავშირებულია მათი მეშვეობით საჯარო სერვისების უზრუნველყოფასთან. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ეთნიკურ უმცირესობებს ჰქონდეთ საჯარო სერვისებით სარგებლობის სრულყოფილი შესაძლებლობა. ევროკავშირის მასშტაბით, ეს უზრუნველყოფილია საჯარო სექტორის სერვისების გაუმჯობესების პროცესში ყველა ჯგუფის, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების ჩართვით.
საკონსულტაციო და მრჩეველთა საბჭოები ადგილობრივ დონეზე და მონაწილეობითი პრაქტიკების დანერგვა	ევროკავშირის გამოცდილებით, ადგილობრივ დონეზე ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ეფექტურ მექანიზმად და მათი პრობლემების არტიკულირებისა და გადაწყვეტის ეფექტურ საშუალებად განიხილება. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მნიშვნელოვან ფასეულობადაა აღიარებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თანამონაწილეობა და პოზიციების გათვალისწინება, რაც საჯარო სექტორის მიერ მიწოდებული სერვისების გაუმჯობესების საფუძვლადაა გაცხადებული.
„პოზიტიური დისკრიმინაციის“ პოლიტიკის გატარება	საჯარო პოლიტიკის დარგობრივი პოლიტიკის კურსები, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის უპირატესი საზოგადოებრივი დოვლათისა და სარგებლისკენაა ორიენტირებული და სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების სახით ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კურსების შეფასება წინააღმდეგობრიობით ხასიათდება, პოლიტიკის ეფექტურობის თვალსაზრისით, მათი ეფექტურობა აქტიურად ვლინდება სიღარიბის, ჯანდაცვის, უმუშევრობის და სხვა პრობლემათა გადასაწყვეტად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება განათლების ხელმისაწვდომობისკენ ორიენტირებული პროგრამები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. აქვე, მნიშვნელოვან ხაზგასმას საჭიროებს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისკენ ორიენტირებული ინტერვენციებიც. პოზიტიური დისკრიმინაციის პოლიტიკის გატარება არაა შეზღუდული დარგების მიხედვით და შესაბამისად, მოიცავს ყველა იმ კონკრეტულ პრობლემებზე რეაგირებას, რაც ამ ჯგუფის წარმომადგენელებისთვისაა მნიშვნელოვანი გადაწყვეტის თვალსაზრისით. საბერძნეთი, ბულგარეთი და რუმინეთი აქტიურად ზრუნავს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის. გერმანია, ნიდერლანდები და დანია კი ფოკუსირებას ახდენს ქალთა სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ეთნიკურ უმცირესობებში. ბულგარეთი, რუმინეთი, ჩეხეთი და უნგრეთი კი ძირითად აქცენტს მიმართავს ბოშათა უმცირესობებში განათლების ხელმისაწვდომობასა და საცხოვრებელი პირობების დაკმაყოფილებაზე.
ინკლუზიური შრომითი ბაზრის პრინციპებით ხელმძღვანელობა	აღნიშნული ეთნიკური უმცირესობების შრომითი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით, პირველ რიგში გულისხმობს ეთნიკური ნიშნით სეგრეგირებული შრომის ბაზრის წინააღმდეგ ბრძოლას. ეთნიკური უმცირესობების შრომით ბაზარზე ინტეგრირების მიზნით აქტიური ნაბიჯების გადადგმა მიზნობრივი პროგრამების გზით მიიღწევა და კომპაქტურად

	დასახლებულ რეგიონებში სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის მიზნით საინვესტიციო პროექტების განსახორციელებელი წამახალისებელი მოტივაციების გაჩენას გულისხმობს. აქვე განიხილება შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით, ეთნიკურ უმცირესობებში შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის ტრანსფერზე ზრუნვა. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირში აქტიურად ხორციელდება ეთნიკურად მრავალფეროვანი სამუშაო გარემოს უპირატესობების წინ-წამოწევისა და დანერეგვის პოლიტიკა ისეთი კამპანიების მეშვეობით, როგორიცაა „მრავალფეროვნება დისკრიმინაციის წინააღმდეგ“, რომლის გერმანული ანალოგი ცნობილია სახელწოდებით „მრავალფეროვნება მეტი შესაძლებლობებისთვის“.
სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლა	ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების უზრუნველყოფაზე ზრუნვა აქტიურად გულისხმობს მათთან მიმართებაში არსებული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლასა და შესაბამისი კამპანიების წარმოებას, რაც ევროკავშირში ემიგრანტების ახალი ნაკადების შემოსვლასთან ერთად განსაკუთრებით აქტუალური გახდა. სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანტიდისკრიმინაციული ნარატივის დამკვიდრებაზე ზრუნვაც, რაც როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ მედია საშუალებებთან აქტიური პარტნიორობით მიიღწევა.
ენის ბარიერების წინააღმდეგ ბრძოლა	ენის ბარიერების შემცირება ევროკავშირის მასშტაბით, ისევე როგორც მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკით, განიხილება უმნიშვნელოვანეს მიზნად. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საჯარო სექტორის მხრიდან ისეთ ინტერვენციებს, რომელიც სასკოლო განათლებაში ეთნიკური უმცირესობების ენის მცოდნე პედაგოგების ინტეგრირება, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ პედაგოგებში კი სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებაა. აქტიურად განიხილება კოლეგიალური სწავლება ეთნიკური ენის მცოდნე და არმცოდნე პედაგოგების სწავლების პროცესში ერთობლივი ინტეგრირებით. ამავე დონეზე, ყურადღება ექცევა სკოლებში ინტერკულტურული უნარების გამომუშავებას და აქცენტი კეთდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებში ენობრივი და კულუტრული ბარიერების მოხსნას, ფორმალური განათლების საფეხურზე გადასვლამდე. აქვე განიხილება ე.წ. „მეორე შანსის“ სახელით ცნობილი პროგრამების აქტიური განხორციელება, რომელიც ზრდასრულთა განათლებაში გამოიყენება.
სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან პარტნიორობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა გამოწვევებზე საპასუხოდ	ევროკავშირი აღიარებს ეთნიკური უმცირესობების პრობლემების წინააღმდეგ ერთიანი ძალებით ბრძოლის აუცილებლობას და ხაზს უსვამს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან პარტნიორული ურთიერთობების აუცილებლობაზე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების საჭიროებათა შესწავლისა და მათი პრობლემების მართვის მექანიზმების ძიების პროცესში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება თანამშრომლობაზე პროფესიულ ასოციაციებთან, ბიზნეს-ორგანიზაციებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ აქტორებთან, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე ორიენტირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უშუალოდ ეთნიკური უმცირესობებთან.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Broad, R.. (2007). 'Knowledge Management': A Case Study of the World Bank's Research Department. *Development in Practice*, *17*(4/5), 700–708. Retrieved from http://www.jstor.org/stable/25548272
2. Crowley, J. (2001). The Political Participation of Ethnic Minorities. *International Political Science Review*, *22*(1), 99–121. https://doi.org/10.1177/0192512101221006
3. Ethnic Minorities for Labour Market (2007), Report of the High Level Advisory Group of Experts on the Social Integration of Ethnic Minorities and their Full Participation in the Labour Market. Retrieved from file:///C:/Users/Nani%20Macharashvili/Downloads/etmin_en.pdf
1. Indian and Northern Affairs Canada. Comprehensive Community Planning: Experiences in First Nations, Inuit and Northern Communities. Ottawa: Her Majesty the Queen in Right of Canada, 2004. Retrieved from www.aadnc-aandc.gc.ca/DAM/DAM-INTER-BC/STAGING/texte-text/ccphb_1100100021973_eng.pdf
2. *NGOs' recommendations for Georgia's OGP Action Plan* (2014-2015), Retrieved from https://idfi.ge/public/upload/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94/recommendations.pdf
3. Paul A. Sabatier and Hank C. Jenkins-Smith, eds. *Policy Change and Learning: An Advocacy Coalition Approach* (Boulder, CO: Westview Press, 1993*).*
4. Saha, D.. (2009). Factors Influencing Local Government Sustainability Efforts. State & Local Government Review, 41(1), 39–48. Retrieved from http://www.jstor.org/stable/2546980
5. Young, Eóin and Lisa Quinn (2012) *Making research evidence matter: A guide to policy advocacy in transition countries.* Budapest: Open Society Foundations. Createch Ltd: Hungary. Retrieved fromhttp://www.icpolicyadvocacy.org/sites/icpa/files/downloads/policy_advocacy_guidebook_-_making_research_evidence_matter_-_young_and_quinn_2012_0.pdf, accessed 17 October, 2015.

სასარგებლო ბმულები:

1. Handbook on Integration for Policy-Makers and Practitioners (European Commission, 2010)
2. https://emc.org.ge/ka/products/saarchevno-sistemebi-saertashoriso-gamotsdileba - EMC-ის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო დოკუმენტი ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტებს მიმოიხილავს. სახელმძღვანელო გამოიცა ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე და ის ამ თემით დაინტერესებული იურისტებისთვის, სტუდენტებისთვის, საჯარო მოხელეებისთვის და თემის აქტივისტებისთვის არის განკუთვნილი.